ᲡᲡᲘᲞ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

12 სექტემბერი, 2024 წ.

ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/64

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 24 0000542990, 20.05.2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „**ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი**“ (წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი**).
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2019 წლის 6 თებერვლის N06-01/07 დადგენილება.**
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო აქტებში, დადგენილებების და ასევე პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში).
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06-01/64 დადგენილების
დანართი 1.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში - ,,პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს.

2. პროფესიული განათლება ხორციელდება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:

ა) საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდებაეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

ბ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით;

გ) უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით **(შემდეგში ,,სტანდარტი“)** გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით.

4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში).

5. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა არის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის

საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (შემდეგში - **სამინისტრო).**

8. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი არ მიიღებს ახალ პროფესიულ სტუდენტებს.

9. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას. ამასთან, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ.

10. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები (შემდეგში ,,მასწავლებელი“), პროფესიული სტუდენტები (შემდეგში ,,სტუდენტი“), კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

11. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბსუ–ს მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას დაეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და სხვა პირების გამოკითხვის ანალიზს.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და წარმართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში **,,ცენტრი“)** კოორდინირებით.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება

1. ბსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტი კონკრეტული <u>ჩარჩო დოკუმენტის</u> საფუძველზე შეიმუშავებს

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს. თუ ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს ერთზე მეტ კვალიფიკაციას და/ან არჩევით მიმართულებებს/კონცენტრაციებს, მაშინ თითოეული მათგანი ნიშნავს დამოუკიდებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ყველა კვალიფიკაციაზე შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ან შეარჩიოს ერთ-ერთი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კრედიტებით უნდა იყოს გაანგარიშებული.

4. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით უნდა მოიცავდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს.

5. პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევა ხდება რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

6. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით (დუალური ან კოოპერაციული სწავლება).

7. დუალური სწავლების შემთხვევაში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.

8. დუალური სწავლებისას პროგრამის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 2 წლისა.

9. კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.

10. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა/დასაშვებობა რეალურ სამუშაო გარემოში.

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ და დასამტკიცებლად წარედგინება ბსუ-ს რექტორს.

12. პროფესიული პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს შრომის ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

13. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების მიზანშეწონილობა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.);

ბ) უნივერსიტეტი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი საქმიანობის ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;

გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;

დ) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად ახალი პროგრამის შემუშავებისათვის.

14. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირების შემთხვევაში ცენტრის მიერ წარმოდგენილი მასალები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დასაქმების ბაზრის კვლევას, ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელს; მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ.

17. ცენტრის დირექტორის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მტკიცდება პროგრამაზე სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ: ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; პროფესიული განათლების მასწავლებლები; დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებლები; კურსდამთავრებულები; დარგის ექსპერტები და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა იყოს პირი, რომელიც შემდეგში განიხილება პროგრამის ხელმძღვანელად.

18. პროგრამაზე სამუშაო ჯგუფი:

ა) შეისწავლის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

ბ) განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს;

გ) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას);

დ) აკონკრეტებს პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენის სწავლებისათვის ენას, თუ ეს დაკონკრეტებული არაა შესაბამისი სტანდარტით;

ე) წინასწარ ახორციელებს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თითოეული მოდულისთვის განისაზღვრება მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი);

ვ) განახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას;

ზ) ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტთან ერთად ახორციელებს ბსუ-ს მფლობელობაში არსებული რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემული ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას, შესასყიდი რესურსის, მასალა-ნედლეულის საჭირო რაოდენობისა და ფასის გათვალისწინებით;

თ) განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს;

ი) განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებსა და მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს;

კ) სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციით ადგენს სასწავლო გეგმას;

ლ) პროგრამის შემუშავების მიზნით ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებს.

19. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროგრამა პირველადი შეფასებისათვის გადაეცემა ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერს.

20. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, მოისმინოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან, მოითხოვოს საცდელი ლექციის/პრაქტიკული მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა), ასევე სამუშაო ჯგუფს მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

21. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შესახებ საბოლოო დასკვნას ათანხმებს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

22. ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი რეკომენდაციის/დასკვნის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქცია წარედგინებადასამტკიცებლად ბსუ-ს რექტორს, ხოლო შემდეგში ცენტრი კოორდინაციას უწევს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენასა და საქმისწარმოებას.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და წინამდებარე წესის მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) სატიტულე ფურცელი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე;

გ) ჩარჩო დოკუმენტის ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული პროგრამა;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;

ე) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;

ვ) პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო და შესაძლებლობები;

ზ) პროგრამის სტრუქტურა და მოდულები;

თ) მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები;

ი) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება;

კ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;

ლ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის;

მ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

2. საგანმანათლებლო **პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:**

ა) ზოგადი, პროფესიული და არჩევითი (არსებობის შემთხვევაში) მოდულები;

ბ) ქართული ენის მოდულები;

გ) სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის);

დ) სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის);

ე) სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

ზ) ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სავალდებულო (ზოგადი, პროფესიული, კლინიკური და სხვ.) და არჩევითი სტატუსის მქონე მოდულებს. სავალდებულო პროფესიული მოდულების შეცვლის უფლება უნივერსიტეტს არ გააჩნია. არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა კრედიტთა საერთო მოცულობის 20% არ უნდა აღემატებოდეს.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში.

5. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში).

6. მოდული თუკი არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2-კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შემუშავება

1. მოდული არის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.

2. მოდულები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს:

ა) ზოგადი მოდულები, რომელთა მიზანია პირისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების შეძენა-განვითარება, გამომუშავება;

ბ) პროფესიული მოდულები, რომელთა მიზანია პირისთვის კონკრეტულ პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და გაცნობიერების, უნარის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის (კომპეტენციების) გამომუშავება.

3. მოდულის სტრუქტურა შედგება ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერებისგან.

4. მოდულის შემუშავებისას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული მოდულის ზოგადი და სტანდარტული ჩანაწერები სავალდებულოა და არ იცვლება, ხოლო დამხმარე ჩანაწერები – სარეკომენდაციო შინაარსისაა და შესაძლებელია მოდიფიცირება.

5. მოდულის ზოგადი ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) მოდულის სახელწოდებას; ბ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერს; გ) მოდულის მოცულობას კრედიტებში.

6. მოდულის სტანდარტული ჩანაწერები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) სწავლის შედეგებს; ბ) სწავლის შედეგების შესრულების კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს ინფორმაციას იმ მინიმალური სტანდარტების შესახებ, რომელთა დაკმაყოფილებაც პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად მოეთხოვება; გ) კომპეტენციის პარამეტრების ფარგლებს, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებული უნარებისა და ცოდნის მასშტაბების და სიღრმის დაზუსტებას; დ)

შეფასების მიმართულებას (გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით); ე) სწავლის შედეგის მოცულობას კრედიტებში.

7. მოდულის სტრუქტურის დამხმარე ჩანაწერები მოიცავს მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის, თემატიკას, სწავლების ფორმას, შეფასების მეთოდებს, მტკიცებულებებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის, ინფორმაციას სასწავლო რესურსების, მოდულის განხორციელების ადგილის (უნივერსიტეტის/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი სასწავლო/სამუშაო გარემო და მატერიალური რესურსი) შესახებ და სხვ.

8. მოდულის საათების განაწილების სქემაში დასაშვებია ცვლილების შეტანა მხოლოდ საკონტაქტო საათების ნაწილში სწავლის შედეგების მიხედვით.

9. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.

10. ბსუ უფლებამოსილია შეიმუშაოს დამოუკიდებელი პროფესიული მოდულები, ასევე შეიტანოს მათში ცვლილება ან გააუქმოს. დამოუკიდებელ მოდულს დანართის სახით თან უნდა დაერთოს დამოუკიდებელი მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებული მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო გარემოს მოწყობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

11. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).

12. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს მოდულის თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალკ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).

13. მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილი (უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შესაბამისი აუდიტორია/ პრაქტიკის განხორციელების ობიექტი).

14. პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი (აღჭურვილობა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

15. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. ბსუ უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაცშესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

16. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს მის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერატურის პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის

მართვის მენეჯერი შეიმუშავებს მექანიზმს ხარისხის ციკლის (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე) მიხედვით და ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით წარუდგენს დასამტკიცებლად ბსუ-ს რექტორს.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომპონენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს; უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან, პარტნიორი საწარმოებისაგან, პოტენციური დამსაქმებლებისაგან; პროფესიული სტუდენტების და მასწავლებელთა მოსაზრებებს; პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს; საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას; უახლესი კვლევის შედეგებს; სასწავლო პროცესზე დაკვრივების შედეგებს; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს და სხვა.

3. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შესაძლებელია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით.

4. პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა.

5. პროგრამების განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამისხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაცია შიდა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამში ცვლილებების შეტანა და გაუქმება

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია: პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ასევე სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წერილობითი ინიციატივა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ბსუ-ს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ობიექტის/ სასწავლო საწარმოს ან/და დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ.

3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან (ჩარჩო დოკუმენტთან) შესაბამისობას. ცენტრის ინიციატივის შემთხვევაში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შესაძლებელია შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება (მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის).

4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად, ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირებას და განუმარტავს მათ უფლებას - კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. სტუდენტთა ინფორმირება უნდა დადასტურდეს სტუდენტის ხელმოწერით (ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტით) ან/და სტუდენტის ელექტრონულ ფოსტაზე შესაბამისი შეტყობინების დაგზავნით (ამ პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის შედეგების ამსახველმტკიცებულებებს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი დაურთავს მოდიფიცირებული პროფესიული პროგრამის (პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) პროექტს და ცენტრი შესაბამის სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს).

5. ცენტრის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამის პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ. ამავე ბრძანებით განისაზღვრება შეცვლილი პროგრამის ამოქმედების თარიღი, ასევე პროგრამის შეცვლამდე ამ პროგრამაზე აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა (არსებობის შემთხვევაში) სწავლის გაგრძელების შესახებ.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან ცენტრის ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამაში ცვლილების შესახებ რექტორის შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აღნიშნული ცვლილების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას და ამავდროულად, შესაბამისი დასაბუთებისა და მტკიცებულებების წარდგენას.

7. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოს შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას და აღნიშნულის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ინფორმაციის წარდგენას, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

8. პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში,

შესაძლებელია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროების მიხედვით) ისე, რომ მიღწეულ იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლოა გახდეს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული ყველა პროფესიული სტუდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულებს სწავლას და მიენიჭებათ პროფესიული კვალიფიკაცია;

ბ) პროგრამის განვითარების შეფასების შედეგები: პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა დაბალი მომართვიანობა, პროფესიული სტუდენტების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა;

გ) სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში პროგრამის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს: ცენტრის დირექტორი ან ხარისხის მართვის მენეჯერი, დამსაქმებელი, პარტნიორი საწარმო, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვა. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას დასაბუთებული ინიცირება წერილობითი ფორმით („პროგრამის გაუქმების მიზანშეწონილობის დასაბუთება“).

11. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის გაუქმება ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

12. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტი გონივრულ ვადაში აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი

1. პროგრამას უნდა ჰყავდეს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი, მათ შორის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

2. პროგრამის ხელმძღვანელი:

ა) აქტიურად მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების, განვითარების და მასში ცვლილების განხორციელების პროცესში;

ბ) ამუშავებს ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ და თანამშრომლობს ცენტრის დირექტორთან და ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან პერსონალის შერჩევის/მოწვევის საკითხებთან დაკავშირებით;

გ) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული

სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობას;

ე) აქტიურად მონაწილეობს პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში;

ვ) ვალდებულია ითანამშრომლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით;

ზ) ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პროფესიულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ;

თ) ვალდებულია ჩაერთოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები;

ი) ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის თავისებურებების შესახებ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები);

კ) პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს ცენტრის დირექტორსადა ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ და ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ;

ლ) ასრულებს შესაბამისი პროგრამის განხორციელების მართვასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, წინამდებარე წესით ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს.

3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.